

+

ქართული საზოგადოებრივი საბჭოთა ენციკლოპედია


სათავისუფლო სალიტერატურო-ეკონომიკური

1924 წ. მარტის 9

№ 7-ფანი 20 კაკ.



ანასტასია ერისთავი-ხოშტარაძის
დამსახურებული მწერალი - ქალი.
მისი 35 წ. სამწერლო მოღვაწეობის
იუბილეს გამო დღეს, რუსთა-
ველის თეატრში.



იერემია გულიაშვილი
დამსახურებული მასწავლებელი და
მწერალი, მისი 35 წ. მოღვაწეობის
იუბილეს გამო დღეს სავაჭროში.

იუზილე ანასტასია მკრისთავ-ხოშტარიასი.

მ რ ვ რ ღ ე ზ ა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას საიუბილეო კომიტეტისა.

მარტის 9 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დადგენილებით რუსთაველის თეატრში იმართება იუბილეო მწერალ ქალის ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი მისი 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

წმელად თუ მოიბოვება ისეთი ქართველი მკითხველი, რომელსაც არ წაეკითხოს მისი მოთხრობები: „ველესიის გარშემო“, „ბედის ტრილია“, „ლაზარემ გადააქარბა“, „მიწა“, და განსაკუთრებით მისი დიდი როზანი „მოლობულ გაზუ“.

პირადად ამ მსებოვან მწერალ ქალს ბევრი არ იცნობს. იგი მეტად მორცხვი და მოკრძალებულია; იგი მკითხველს ზიბილავს თავისი სტრიქონების სურნელებით, თვითონ კი ეფარება ოჯახის კერას და მუდრო მუშაობას ეწევა.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია თითქმის ერთადერთი მწერალი ქალია, რომელმაც დასძლია საქართველოში რომანის წერის სიძნელე და გვერდში ამოუდგა ჩვენს საუკეთესო რომანისტებს.

ერთგული მეგობარი და მეუღლე პოეტის დუტუ მერჯელისა, მრავალი შვილების დედა—ანასტასია ერისთავი-ხოშტარია ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცებს ქართველი ქალის სულის სიმდიერეს, რომ ქართველ ქალს შეუძლიან ერთსა და იმავე დროს იყოს ნამდვილი დედა და საზოგადო მოღვაწე.

მარტის 9 არ არის მარტო მწერლების და კერძოდ ქართველ მწერალ ქალის დღესასწაული, იგი დღესასწაულია საერთოდ ქართველ ქალის.

ეს არის დღესასწაული ქართული მხატვრული პროზის, ქართული რომანის.

ჩვენ გვწამს, რომ მარტის 9 ქართველი საზოგადოება მოკრძალებით მიესალმება დამსახურებულ იუბილიარს, მსურველ მონაწილეობას მიიღებს მის სახეიმო საღამოში და თანაგრძნობით გაუობობს იმ გულს, რომელიც თავისი ხალხისადმი სიყვარულით მუდამ სჩქეფს...

საიუბილეო კომიტეტის

საპატიო თავმჯდომარენი: **ღავით კანდელაკი**

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი

წევრნი:

აბაშვილი ს.
არაგვისპირელი შიო
ბარსუგი ვასილ
გაბაშვილი ეკატერინე
განდევლი დომონიკა

გრიშაშვილი ი.
დადიანი შალვა
დავითაშვილი ნინო
იაშვილი პაოლო
ინგოროყვა პავლე

კლიაშვილი ღავით
მარჯანიშვილი კოტე
მგალობლიშვილი სოფრომ
ნაკაშიძე ნინო
როზაქიძე გრიგოლ

რუხაძე ვარლამ
საყვარელიძე პავლე
ქიქელი დეო
შანშაშვილი სანდრო
ჩხვიძე ღავით

მდივანი: მიხ. ბოჭორიშვილი

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს

კოოპერატიული კავშირის

ც ე ა კ ვ ი რ ი ს

საბანკო განყოფილება

ლებულობს ანაბარს ვაღიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით

ჩერეონციის კურსის მიხედვით და აგრედვე ჩერონციებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრედვე კერძო პირთაგან.

იღებს ფულს გადასაგზავნად

სამართხმლოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ძალაქში.

ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერეონციების კურსის მიხედვითაც.



1910—1924

წელიწადი XIV

№ 7

შაბათი 20 კ.ე. ჩრვ.

„თმაბარი და ცხოვრება“ ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი. რედაქციის ბინა: ძველი ქართული თეატრი (ყოფ. წითელბრიყვთა კლუბი), სასახლის ქ., № 5, ენოში ახალ „კლუბი“-ს შესავალი. ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იხილეთ იმედაშვილი.

თმაბარი, კუმეზი, მუსია, მხაშვილი, მანდავი, საფრანგოებრივი სფერო.

დაარსდა 1910 წ.

კ ვ ი რ ა, მ ა რ თ ი ს ე

გამოცემა 1924 წ.

ს ა ლ ლ ე ი ს ო

იზაილი. კიდევ იუბილე!—გაოცებით წამოიძახებეს მეთხველი, მაგრამ რა უყოთ, რომ ჟიანაცხელო ნახევარი საუკუნე და ვასიაკურებით 25—30 წ.წ. ჩვენი ვათვითცნობიერების ხანა და ვინც ამ დროს უანგაროდ მოღვაწიობდა—ერის საყვარელია, ყველას ერის მადლობა ეტყუნის.

სწორედ ასეთები არიან ქვემოხსენებული მადლ-მოსილი მოღვაწენი.

ანასტასია მარსიაჰი-ხოზარია.—დღეს ქართველი საზოგადოება სიყვარულით შეეგებება თავის ცხოვრების მოყურადე—მზა ჯვარს,—მწერალს, რომელიც მთელი 35 წ. მშობელი ერის კენსით იცემებოდა...

ეს არის ანასტასია ერისთავი-ხოზარიაძის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთი ქართველი რომანისტი ქალია, რომელიც უტყუარად ხატავს ჩვენს ყოუა-ცხოვრებას.

იგი 35 წ. ათრთოლებდა ქართველის გულს, ამდღრებდა ქართულ სიტყვას-კანაშულ მწერლობას. დაე, ქართველმა საზოგადოებამ ერთის წუთით მიინც ნეტარული აუთრთოლოს გული ამ მისთვის მუდამ მზრბელი ადამიანს. (იხ. ამავე ნომერში 10 ივ.)

ინაჩიძე გულსინაშვილი. აი ერთი მათგანი, რომელნიც იღუმლის ცეცხლით შევიან ხალხის საკეთილდღეოდ! მწერალი—დრამატურგი, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე იერემია გულსინაშვილი ჩვენი სიბნელით მოკულ დაბა-სოველს დაუტრიალდა, რადგან იცოდა, რომ აქ საშკალი ფრიად დიდია, ხოლო მუშაკი მცირე.

და მადლიერა სოველი დღეს ს. საგარეჯოში უმართავს 35 წ. იუმბილეს საყვარელ ნამაგდარ მუშაკს. *) იერემია გულსინაშვილი სახალხო თეატრის ისტორიაშიც აღბეჭდილია,—იგი ავკალის აუდიტორიაში ერთხანს რეჟისორობდა კიდევ.

დაე, მისი ნამოღვაწეების დაფასება შემდეგ თაობის სასიკეთო მუშაკობის მაგალითი შეიქნეს.

ნიკო მუსხატიანი. და თუ ვისმეს ეკუთვნის იუბილე —ეს უფრო მეტად მუშა-მსახიობი ნიკო გოცირიძის. კიდევ უფრო მეტი —თუ ვინმეა ღერის რესპუბლი-

კის სახალხო მსახიობის წოდებისა,—ეს ნიკო გოცირიძე,—და მხოლოდ ნიკო გოცირიძე, რადგანაც 90-იან წლებიდან მოყოლებული იგი განსაკუთრებით ხალხს—მდებრი ხალხს ემსახურებოდა სრულიად უანგაროდ—უშრომისთვის. მთელი დღე რომ ქარხანაში მუშაობდა, საღამოობით სახალხო თეატრის სცენაზე აღვიგებდა ხელოვნებას ცეცხლს როგორც მაღალნიჭიერი სცენის-მოყვარე-მსახიობი (ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით) და დაკვირვებულ რეჟისორი.

ერთი წელიწადი ნიკო აკადემიური დრამის თეატრში მიიწვია. აქ მისი ხელოვნება კიდევ უფრო გაბაზმუნდა, მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, იუმბილეს შემდეგ ისევ სახალხო თეატრს უნდა დატურუნდეს: ეს იყო მისი აკვანი, აქ უნდა იყოს მისი დიდობის უმაღლესი კიბე.

ყველა ამათ—ან. ერისთავი—ხოზარიაძე, იერ. გულსინაშვილი, ნიკო გოცირიძე და მარო მდივანა (რომლის იუბილე გასულ კვირას ბათომში გაიხილეს) მთელი თვისი არსება, სული და გული მშობელი ერის წინსვლას შესწირეს და მადლიერი ერიც შესძახის:

— ვაჟა და გამარჯვება სცენისა და მწერლობისთვის თავდადებულ მუშაკთ!.

დ.ლი მოვლიანი ძლიეს!.. ძლიეს ცელირსეთ ქართულ დიდებანაჲ ჟურნალს. ეს არის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თეფერი გამოცემა „კავკასიონი“, 3. ინფორმაციას რედაქტორობით.

უკვე გამოვიდა № 1 და 2 ერთ წიგნად. ჟურნალის მასალის განხილვას შემდეგისთვის გადავსდებთ, ახლა კი ვიტყვი, რომ ჟურნალი ყოველმხრივ გამართულია და საქართველოში დღემდე გამოცემულ ჟურნალებზე აღმატებული. აქ არის განყოფილება: ქართული ლიტერატურა, უცხოეთის ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია და მეცნიერება, მემორები და დოკუმენტები, ქართული კულტურის საკითხები, ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი მოგვირისტებულია დამსახურებულ მწერალთა სახელებით, ყოველი მათი ნათქვამი დახვეწილი. სიამოვნებით ვეგებებით რა „კავკასიონი“-ს, ვსურვებთ დღევანდლობასა, ხოლო ქართველ მკითხველს ვულოკავთ მის გამოსვლას!..

*) მისი ნამოღვაწეების მოკლე დახასიათება იხ. „თ. და ც.“ № 4.

პროლეტარული პოეზია

იონა ვაკელი.

რევოლუციამ წარმოშვა ჩვენში პოეტები, რომლებსაც პროლეტარულ პოეტებს უწოდებენ და თითქოს ამით იმისი თქმა უნდა, რომ ჩვენში რევოლუციამდე პროლეტარული პოეტები არ არსებობდნენ.

ის სიმართლე არ არის. პროლეტარული მგოსნის დამახასიათებელი ის არის, რომ პროლეტარულ წრეს ეკუთვნის და ამ კლასის მისწრაფებითა და განცდათა მსახურია.

პირველი პროლეტარული მგოსანი იოსებ დავითაშვილია (1850—87 წ.)—(სურ. იხ. „თ. და ც.“ № 2 რედ.). ის გამოვიდა მუშათა წრიდან და მთელი თავისი მისწრაფებით, იდეალებით და პოეტური შემოქმედებით მუშათა კლასს ეკუთვნოდა.

„მუშა ვარ და კიდევ ვიცი
მუშის გულის პასუხებია“.

როდესაც დავითაშვილი საშერლო ასპარეზზე გამოვიდა, პროლეტარიატი ჩვენში მაშინ არა ყოფილა გარკვეული, სახისა და, რა თქმა უნდა, დღეს დავითაშვილი პროლეტარულ შემოქმედებას ვერ მოსწვდებოდა, მაგრამ ყოველი ადამიანი უნდა დაფასდეს მხოლოდ ისტორიულ პირობებში.

თავის დროის შესაფერისად დავითაშვილს შეთვისებული ჰქონდა პროლეტარული შეხედულება ცხოვრებაზე: მე გულსა მწვეთს თუ სიფელი
ორხაირად გაყოფილი:

ბედით ჩაგრულს უღვიწოდ სნაგრავეს
თავის ბედით კმაყოფილი.

დავითაშვილის შემდეგ იწყება ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში ინტერვალი და პროლეტარულ პანგებს ისევ აწყვიტო თავისი ჩანგზე ევლოშვილი. *)

ჩვენი პროლეტარიატი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმის ლექსს:

მეგობრებო, წინ, წინ ვასწიო!
ნუ შედრეკება თქვენი გული.
დე, შუბლს ოფლის დალი აჩნდეს,
და მკერდს— სისხლის ნაკადული!

მაგრამ ევლოშვილი არ იყო წმინდა მიმართულების პროლეტარული მგოსანი.

პროლეტარულმა პოეზიამ იფეთქა ჩვენში პირველი რევოლუციის ხანაში და შემდეგ რეაქციის დროს.

აქ პირველობა ეკუთვნის ვარლამ რუხაძეს. მან გაბედულად ჩამოკრა პროლეტარულ გარსიანებს და პროლეტარული ბრძოლის ზარს.

ვარლამ რუხაძე**) გამოვიდა მშრომელი ხალხის წრიდან და მაშინდელ პირობებთან შედარებით მედრად ააგონებდა პოეზიაში რევოლუციის ცეცხლი.

ვარლამ რუხაძეს მოჰყვენ ნოე ჩხიკვაძე, ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, რომლებმაც პროლეტარული ბრძოლის ქუროს მძლავრად შეუნთეს ცეცხლი.
ჩხიკვაძე, ქუჩიშვილიც მშრომელი ხალხის შვილები

არიან და მთელი თავისი პოეტური გზებით პროლეტარიატს ეკუთვნიან.

დიდმა რევოლუციამ გადაშალა დიდი პერსპექტივები და შეიტანა ახალი ტალღები ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში, მაგრამ თუ ჩაუვლოვდებით ამ ტალღებს, შეგ დაეინახებით იმავე დუღილს, იმავე მუსიკას, რაც ახასიათებს საერთოდ ჩვენს პროლეტარულ შემოქმედებას.

თქმა არ უნდა, ეს დუღილიც, ეს მუსიკაც უფრო მძლავრია, უფრო გაქანებული და მოვარდნილი, რადგანაც თვითონ რევოლუციის ბუნებაც ასეთია.

ახალ პროლეტარულ პოეზიაში საპატიო ადგილი უჭირავს იონა ვაკელს, რომლის „შარავანდელი“ ლამაზი და ცეცხლიანი დასაწყისია მისი ფაფარაერილი შემოქმედებისა.

ფორამ იონა ვაკელს საქმაოდ დამოჩილებული აქვს და მისი პოეზია განირჩევა თავისი მუსიკალობითა და პარზონით შინაარსისა და ფორმის შორის.

იმის პირველ ნაბიჯებს ვაღვლენა ეძინევა სხვა პოეტების და ხშირად ჰმაძევეს ვალაქტიონ ტაბიძეს, განსაკუთრებით იმის „ლურჯა ცენენეს“.

35 გვერდზე „თუთის ლანგარ“-ში რითმები: თარე—სიმფურვალეში,—ტაბიძეს ეკუთვნის; აგრეთვე 51 გვერდზე „შრომის ოკენანე“-ში რითმები: მხარეში—თარეში.

38 გვერდზე ჩვენი ბრძოლის ხალისი—ში არის აბაშელის რითმა: გაუფონარი—დაუღონარი (აბაშელის შორეული ნაპირი: დაუღონარი—გაუღონარი),

64 გვერდზე „მუხარე“-ში ქუჩიშვილის მეტრი და რიტმია.

მაგრამ ახალგაზრდა მგოსნისათვის შეუძლებელია, რომ მთელ წიგნში სხვისი რითმაც არ შეეპაროს. მგოსანმა უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება ენას.

სიტყვა მას საქმაოდ დამოჩილებული ჰყავს, მაგრამ ალაგ ალაგ მაინც მოიპოება კული ქართული, რამდენიმე ალაგას „არის სისხლმა“ ვაღება; ვამობოთ—სისხლმა შედღე. მაი, თ შედარება არ გვიდა სხვაზე“ (გვ. 44) ცუდი ქართულია. ეულკანის ლავა სრულებით არ არის ქართული. „სისხლი ღებს დროშებს“ საშინელი ქართულია, აგრეთვე—ტყეი თოვლებმა“.

„ქალაქი უშენი“ უფოთსა“ მიუღებელია პოეზიაში კი არა, პროზაშიაც.

როდესაც იონა ვაკელის პოეზია დაიხვეწება და გაიწმინდება ასეთი შეცდომებისაგან, ჩვენ მივიღებთ საუკუნოვო ყვავილას პროლეტარული პოეზიის ბაღში და რაგულს ქვეშარტი ხელოვანის ხელთ.

პროლეტარული პოეტები სასოვალოდ რეალურ მოვლენათა მხატვარი არიან. რეალიზმს ჩვენში ჰქონდა შემუშავებული საკუთარი ფორმა და სტალი. მოსალაღნევი იყო, რომ ახალგაზრდა პროლეტარული მგოსნები ძველ ფორმაში მოათავსებდნენ ახალ შინაარსს.

მაგრამ იონა ვაკელი აღარ კმაყოფილდება ძველი ფორმებით და იმის პოეზიაში შეჭრილია სიმბოლიზმი

*) საშერლო ასპარეზზე გამოვიდა 1893 წ. რედ.
**) საშერლო ასპარეზზე გამოვიდა 1892 წ. რედ.

თავის სტილით, ასონანსებით, კონსონანსებითა და ალაგ-ალაგ თავისუფალი მეტრით.

ეს გამარჯვება ჩვენი სიმბოლოზმის და ამავე დროს ღირსება იონა ვაკელის პოეზიისა.

ვატაცების, წმინდა სიგიყის, ბრძოლისა და ცეცხლის პოეზია სიმბოლოზმის ფორმებში უფრო ვითარდება და შლის ფრთებს.

ეს უტყუარი ღირსებაა ქართული სიმბოლოზმისა და მისი ძმობის—ცისფერ ყანწლებსა, რომლებმაც ჩვენი პოეზია გამოიყვანეს ძველი ჩიხიდან და მისცეს მას ახალი ვასაქანი, ახალი მიღწევანი. მათი გაღურებია თავისმკვლელებისა, კლექიანებისა, შეშლილებისა, ლითებისა და აშორიებისა პროლეტარულ პოეზიაში სრულებით მიუღებელია, ხოლო მათი სტილი და ფორმა უკვე გამარჯვებს დღესასწაულობს.

იონა ვაკელს აქვს მოხდენილი ასონანსები: პოეტი—სიმარტოეთი, ბიერტი—ღერიდი. მოღენის—მოღელო, თალი—ზამზაზი და მრავალი სხვა; შვიგადაშვიგ ურეკია ლამაზი კონსონანსი, როგორც დემოსი—შემოსე. არის თავისუფალი მეტრიც და ურითმო პოეზიაც, მაგრამ თავისუფალი მეტრი და ურითმობა ერთგვარი სცილა და ხარიბდა არის პოეტისათვის.

რითმა და რიტმიული მეტრი მუსიკაა ლექსისა, ერთგვარი აკომპანიმენტი. ლოდესაც მომღერალი აკომპანიმენტს უარყოფს, მას მეტად დიდი იმედი უნდა ჰქონდეს თავისი ხმისა.

აგრეთვე როდესაც პოეტი ლექსში მუსიკას თავიდან იშორებს, მას დიდი იმედი უნდა ჰქონდეს ლექსის შინაგანი ძლიერებისა. თუ ეს არ არის, ჩვენ მივიღებთ პოეზის მაგიერ უხეირო პროზას.

„შრომის ოკეანეში“, „საოცნებო დილა“-ში და ზოგიერთ სხვა ლექსშიაც ავტორსა აქვს შინაგანი რითმა. ბესიკ უყვარს შინაგანი რითმა, რაც მეტ სილამაზესა და მუსიკალობას აძლევს ლექსს. შემდეგ და შემდეგ შინაგანი რითმა გაქრა ჩვენს პოეზიაში.

მძლავრად გამოანათა შინაგანმა რითმამ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. მისი „ატმის ყვავილები“ შესანიშნავია ამ მხრივ. შინაგანი რითმა ეადივლებდა იონა ვაკელს და საუცხოვოა მისი ლექსები შინაგანი რითმით.

პოეტი ჰქმნის ახალ სიტყვებსაც, რაც მეტად დიდი ღირსებაა. მაგალითად სიტყვა „სიმარტოეთი“ სხვაგან მე არ მახსოვს, არც—აქორქალება.

საუცხოვონი არიან „შრომის ოკეანეში“ და ჩვენი მათისა. აქ არის ვატაცება, თავდაფიქვება, სიხალისე, აღმაფრენა, მოზღვავებული გრძობა და შეურყეველი რწმენა, დიდი სიწრფელე და ნამდვილი პოეტური გზნება.

ალგ-ალგ არის პესიმისმი, როგორც, მაგალითად „თავდაფიქვების წუთებ“-ში.

„და ასე ვიბრძვით ცოდვილ წუთებით. ტანჯული სულის აღმობიომამდი“.

პესიმისმი უძლურთა და სნეულთა აზროვნებაა. პროლეტარულ პოეზიაში კი ძალა და ჯანსაღობა უნდა სჩქვოდეს და ცეცხლს აფრქვევდეს. ამიტომაც ყოველგვარი პესიმისმი უნდა ვანიღევნოს პროლეტარული პოეზიიდან.

„საოცნებო დილა“ დიდი მიღწევაა ყოველის მზრივ

ახალგაზრდა პოეტისათვის. აქ არის იშვიათი განცდა, სისპეტაკე, სიხალისე, იმედი, საუცხოვო რითმა და დამატობიული მელოდია.

„აკნამულ როდეს“-ში იშვიათი ასახვაა ცეცხლის გამირებისა და რევოლუციის, ხოლო ლექსის პატარა ნაკლს შეადგენს დაუსრულებელი ვაოცების ო დიო! მა-



იონა ვაკელი

რითალია, ვძელი ლექსია, მაგრამ შვიგ ჩვიდმეჯერ ჯარის გამეორებული ო!

პოეტიმში არის ცეცხლი, ვატაცება, ვაქანება და შესაფერი განწყობილება.

„დღის ზემი“-ს აფერადებულ ხალჩას და ცეცხლის ალუმს საუცხოვოდ შევხამება თავისუფალი მეტრი და დაუღევარი, გულმაღერი რითმა.

რევოლუციის ქარცეცხლი და სიმკაცრე, სისწორითაა აქ გამოახული.

იონა ვაკელი სუსტია იქ, სადაც ის ცდილობს ქარხნისა და მანქანების გრაილის ვადატანს პოეზიის სიმეზზე.

აშკარაა, პოეტის გამოცდილება და დაკვირება ჯერ ვერა სწვდება ამ დარგში იმის მიზანს.

გვიყვარს გრიგალი და ქარიშხალი. და მოულოდნელ გამბედაობის

ლეთიური ნიჭით ავაშუშავებ. ეფმერით უფროს,

ვუმღერით ჩაქუჩს, ქუჩებს და ქარხნებს!

ამ სიტყვებში დიხასითებაა იონა ვაკელის მთელი შემოქმედებისა.

როგორც ახალგაზრდა მგოსანს მისთან ახლავს ბე-
ერი ნაკლი, რომლის გასწორება ადვილია.

ხოლო მას აქვს ტემპერამენტი, პოეტური ცეცხლი,
სიხალისე, გაქანება, მხატვრული ინტუიციდა, რითმის
ყნოსვა.

ყოველივე ეს სრულ იმედს გვაძლევს, რომ პროლეტა-
რულ პოეზიას ქვეშაირიტი ნიჭი ემატება.

ივ. გომართელი

**ურაგმენტი: „გატხილი უიალები“-დან
მიცდის მტრ-ალი...**

ყველაფერი მეჩვენება შავად.

დედებმა დაიწყეს ტირილი კედლებთან...

— უღროოდ გაჰკვივის წყალმანი...

— უღროოდ ეწვია ციხეს; ბოღმა და ნაღმების ფა-
რული აფეთქება.

მე მაინც დავდივარ ქუჩებში.

მე მაინც ვიყურები მზისკენ.

კვირა დღეს მინდოდა მეყიდა სამოსი, წავსულიყავ
სოფელში და იქ მელოცნა წმინდა გიორგის ხატის წინ
ცრემლი რომ სდის.

მას ვადაფარებია კვამლის ნაღენი და მტვერი,
გატყენთილი შავ ფიჭვებით.

იგი აღარ გამოიყურება თამამად ცეცხლის თვალებით.
თითქოს აპირობს რაშიდან ვაღმოვარდნას.

თითქოს აღარ უნდა ამაყი სიცილი და ფრენა: ქე-
დების მაღლა არწივებთან.

იქ ბუღობს გველი: ბრძენი, საშიშარი და ჭრელი:
როგორც ბაღდაღური ძველი ხალხია.

ამბობენ: ოქროს თასი აქვს იმ გველს.

მზის გულზე ათამაშებს ხოლმე უშიშრად და ლა-
მახად.

ყველას ეშინია იქ გავისი.

ყველა გაუბრბის იმ ადგილს.

ბებერ სათარას, რომელიც იმორჩილებს შხამიან
გველებს, ვერ გაუბედავს იქ მისვლა.

ამბობენ: გველი იმ სამლოცველოში მხოლოდ წმინ-
და კაცს შეუშვებს და ოქროს თასსაც მას მისცემსო.

ყველა სენს ჰქურნავს ოქროს თასი: თილისმა
ჩაყოლილი შვგ, დიდნხნის, წინანდელი ნატურაა და ოფ-
ლი კაცის, დაღვრილი ვახელებულ სისხლიდან ცხელ მი-
წაზე.

უნდა ვცაღო ბედი.

უნდა მივიღე იქ.

იქნებ ვარ მე წმინდა და უტოდელო?...
თუ დამძალა ცოდვებმა:

მამონ, დეე, ჩემი გვამი ჩაღვს იქ—ადამიანთა ხორ-
კით გასუფუბულ მიწაში, და სული დაარებს მოლოდინში
ჩაქრობილი.

მე მაინც წვაღლ იქ.

კაიუს პელი

მწიერალი მ. ადამაშვილი (ჯავახიშვილი)

(იგივე მ. ა.—ლი, ალი, მალი, აღლი, მადლი)

20 წლის სამწერლო მოღვაწეობის შესრულების გამო

მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) დაიბადა 1880
წ. გლეხის ოჯახში, პორჩალოში, ს. წერაქეში (შემდეგ ეს

ოჯახი გადასახლდა მიხეილის მამის მიერვე გაშენებულ
ს. სიონში, ისევ ბორჩ. მაზ-ში). პირველი განათლება მი-
იღო სოფ. პრივილიზოეში, ჯედალ-ოღლში, შემდეგ წინა-
მღვარაინთ-კარში და ნიკიტის სამეურნეო სკოლაში (ყი-
რიში). დედ-მამა რომ დაეხოცა (1900 წ.), საქართველო-
ში დაბრუნდა და 1903 წ-დის იმსახურა ალავერდის სპი-
ლუნდის ქარხანაში. ამავე წელს სამსახურს თავი დანებდა
და ლიტერატურის გზას დაადგა. 1906 წ-დის მუშაობდა
ქართ. ეურ.-გაზ-ში, ბოლოს რედაქტორად იყო ჭკვირ.
ეურნალის „გლეხი“-სა. ლიტერატურულ მოღვაწეობისთ-
ვის სამართალში იქნა მიცემული, რის გამო მ. ად-ლი
გარდისხეწა პარიზს, სადაც სორბონაში სწავლობდა ეკო-
ნომიურ მეცნიერებას, ლიტერატურისა და ხელოვნების
ისტორიას იქ შეუნა უხვად გამოიყენა და მრავალი ქვე-
ყანა დაიარა. 1909 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა და სცხოვე-
რობდა სხვის პასპორტით. მახლობელი თანამშრომელი
იყო ეურნალი „ერი“-სა და „საქ. მოამბე“-სი. 1910 წ.
დააპატირეს, მიუსაჯეს ერთი წელიწადი ციხე და ხუთი
წლით გადასახლება. 1913 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა.
1915 წ. რედაქტორი იყო იმ წელს დაარსებულ გაზ-
„საქართველო“-სი. 1916—1918 წ. მსახურებდა წითელ
ჯვარში. 1918—1921 წ.—ერთი დამაარსებელთაგანი და
მდივანი საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატისა. 1921—
1923 წ. ჯერ იყო ს. სახ. მეურ. უმ საბ. ცენტრ. საწარ-



მ. ადამაშვილი

მოვო ტუბ. განყ-ის კოლეგიის თავმჯდომარე, შემდეგ ამიერ-კავკ-ის სავარგო ვაჭრობის ფინანს. განყ-ის გამგე, სალიცენზიო ბიუროს თავმჯდომარე და ეკონომ. კონსულტაციის ბიუროს წევრი.

1903—1908 წ. დასწერა ათიოდე მოთხრობა. იმავე დროს სასოფალდობრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც გაუყვა, რამაც იმდენად გაიტაცა, რომ ბელეტრისტობას თავი მიანება. შარშან შემოდგომაზე, სწორედ 15 წლის ღმობის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სიტყვაჯამშულ

ლიტერატურას და რამდენიმე თვეში დასწერა თხუთმეტიოდე მოთხრობა საყროო სათაურით—„კვაკი კვაკანტრიაჲ“ და „ეტის კაცი“, რომელიც „კავკასიონი“-ს მარტის ნომერში დაიბეჭდება.

ლიტერატურაში მიხ. აღმამაშვილი ჩაითვლება რეალისტურ სკოლის მიმდევრად. თავის მასწავლებლებს მიაჩნია მოპასანი, ფლონტერი, ჩეხოვი და სხ. უკანასკნელ ნაწერებში ეშჩევა ვაგლანა ახალი ლიტერატურულ მიმართულებას. იროიდ თვეში დაიბეჭდება მისი მოთხრობები ორ ტომად.

ქ ვ ა ზ ი კ ვ ა ზ ა ნ ტ ი რ ა მ ე

კვავი კაფუშანბანუი

(ნაწყვიბ*)

ის უკანასკნელი დღე კვაკიმ და რეზეკამ ერთად გაატარეს.

აუწერილია ის დღე—ის შვიი და იმავე დროს ცეცხლიანი დღე გაყრისა და განშორებისა, სიყვარულის ძაფების დაწყვეტისა, ორი ცეცხლმოკიდებული გულის გახეჩნისა, ორი გაერთიანებული სხეულის გაპოხისა, ერთმანეთში არეული ორი სულის გაგლეჯისა.

დადგა ცრემლის გუბზე, ასტყდა ქვითინი და წვილიკვილი, იყო გააყვებული ხორცის გლეჯა, სიმწარისა და სიტყბოების კბენა, ბალღამიანი სეედა, ზნეღობა, ნუგეში, დაპირება და ფიცი მარადიული, დაუქნობი და დაუფიყყარის სიყვარულისა.

იმ ღამეს კვაკი საღგურზე არ ვაგიდა ისაკას და რეზეკას გასაკილებლად, რადგან—როგორც იმ დღითი უთხრა რეზეკას—გმინიდა თავის დარღისა და გულის ქენესის უნებური გამიზღობისა და გამეღანებისა.

სწორედ იმ დროს, როცა მისი ტურფა რეზეკა მატარებელმა მოიტაცა, კვაკი ერთ შანტანში სეედას იტარებდა:

— კაი შენი ჭირიმე, — ზღაზენით, ზანტად და „არისტოკრატულად“ იცოხნებოდა, — იმი „მეშანზობაჲ“, მეტი აფერია. რა არის ადესა, რა უნდა იყოს აქინე ცხოვრება! აფერი სწავლა აქინე არ შეიძლება... ან მოსკოვში წავალ, ან პეტერბურგში. მომწყინდა ამ ქუჭყიან სოფელში ხტილიანი. ხელის გასანაწიე ალგაი არ იშოვება... ადესა ჩემთვის ვიწრო ქურქია... აღარ ვეტყვი... დაბალი კიბეა, მსაფრთხი და ფრთის გასაშლილი არ მყოფნის... როდის? მაღე, ერთ თვეში, ან უფრო ადრე წავალ... თქვენ? თქვენც წამოდით... ვიშეუღით, რატომ არ ვიშეუღით! რაო? ქუთაისი? ზა-ხა! ქუთაისი რა სასანებელია! ქაობია, მერალი ქაობი, მეტი აფერი. თუმცე საქართველოც ვიღით... კაი შენი ჭირიმე, ნუ ამიხორღები. მეგრელია თავისთვის ცხოვრობს, კახეთი—თავისთვის; გუგურია აქეთ მოიწყეს, ქართლი—ქით... აჰ, მიი ტყვილია. ქვეყანაზე ასმა კაცმა ძლიეს იცის საქართველოს სახელი. ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომე თავი

მისი დასაძინებლად. ფეხები უნდა ქიხიყს მიბაჯენო; სოხუმში რომე ცხვირი დასაცემინო, თელავიდან იხიხანი, „ხვირიო“; ქუთაისში ლაითაქესთან ან ერემოსთან რომე „მრავალ-ქამირის“ დეიწყო, ყახხედიდან ბანს გეტყვიან, ხილო ორთაქელის ბაღებიდან „მადლობელს“ შემოგამებენ. ბორჯომში რომე პაპირისი ამეილო, ფოთიდან ოცი ხელი მინც მოვწყვებდა—მეცე მომაწყვიეო; მერალი ხელსახოცი რომ იბოუეო, მთელი საქართველო მობრბის ყვირილით: „ჩემია! ჩემიაო!“ აჰ, მავას ნულარ გამაბსენებთ. გარსონი კიდევ ერთი ბოლიდი ფინ-შამანი ლეი რედერჩიოსა. რაო ბესო, შარტრეში გირჩენია? შენ, სერიოჲ, შიპარი გინდა? აჰა, კაი... გარსონი სამივე მოვავრთვი... ანანასი, ფორთოხალი და მანდარინიც...

და კვაკი კვაკანტრიაჲში თავის სტუმრებს ოქროს პორტ-სიგარი ვაუწოდა და თითის სისქე პაპირისები შესთავაზა. პორტ-სიგარი აპურებულეი იყო მონორგამებით. შუახე ეწერა: „თავადს ნაპოლონ აპოლონიჩ კვაკანტრიაჲს ნიშნად რეზეკას მარადიული სიყვარულისა“, ხოლო პაპირისებზე ოქროს ასოვებით წარწერილი და დახატული იყო თავადური დერბი, ხლარიანი სამი ასოსი—კვაკის ინიკილებისა და კვაკის დეიზი:

„ყვლაგან, ყვლაფერი, ყვლაზგან, ყვლაფერი. ყველაფერს“.

— რა აზრია ჩაქყოილი აქინე, კვაკო?
— ვისაც როგორც მსურდეს, ისე გეიგოს. აი კილი. აი, აქინეც.

და სტუმრებს ვაუწოდა ძვირფასი ბეჭედი, საათი და ოქროსთავიანი ჯოხი; სამივე თვალ-მარგალიტით იყო შემეჭული, სამგანე იგივე სახელმძღვანელო დეიზი იყო ამოჭრილი.

— გარსონი შამანიური კარვად ვერ არის ვაცივებული... безобразии! ამ რესტორანში აროდეს არ იციან კარვად ვაცივება... არც ანანასი ვარგა, წყრილია... ბე-ნო, წა ვენაცვა, ეს ოცდახუთიანი მიეცი ორკესტრს, ჩემი საყვარელი ვალსი „მარია ტერეზია“ დოჟრან...
კვაკემ თვალი მოჭკა იმ სუხონის დედოფალს, იმ კაფე-შანტანის პრიმდონას, ბრწყინვალე და მუსთა-მზე პარიზელს, რომელიც სწორედ იმ დროს რესტორანში შემოიანათა.

— სიღდაკ, ა ჩემი „ვიზიტეი კარტიკა“, მიი ქალი აქინე მიიბატოე. ჩქარა, თვარა სხევაში მეიტაცეც.

* კვაკის ადესაში საყვარელი ჭკავდა რეზეკა იფლანსისა, რომელიც იმ დღეს უცხოელნი გადასაღებულს თავს მჭარს სკაჲს გაჰყვა. ისეკა დაბატმობული იყო. კვაკიმ ზეზაზერა ზისი განაიფისუფლება, რაც იფლანსის ზუთი ათასი მწიფით დაუფლდა.

სედრავამ მამაკაცების ალყა შეარღვია:

— პოინტი ნაპოლონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე და მისი მეგობრები გთხოვთ პატივი გვეთ.

სხვები ბუზღუნით და შურით დაგვიანტნენ.

კვაჭა მოღუნებული ზღაპრით მიეგება იმ მზეთუნ-ხაეს და მოწონებით, მორჩილად ემთხვია ხელზე.

— შარმეც დე ვოტრ კონსანს... პრენს კვანტირა-ზე... სილ ვუ პლე, მაიდა... გარსონ!.. შერ მაიდა, ვულე ეუ შუაზირ...*)

ჩაპკრეს, ჩამეტერეის, წარაყენეს და შებღალეს ნაზი და ფაქიზი ფრანგული.

უზარმაზარი დარბაზი იწვის.

ურიცხვი ბროლით აკუნწლული ლიუსტრა ძვირფასი ალმისივით ბრწყინავს.

ისმის ფაიფურის წყარა-წყური. ბროლი კრიალებს. ვერცხლის კასრებში გაყინული და არტახებში გახვეული შამპანური ბროლის თასებში ოქროს წინწყობით იწინწყობება.

გაბერილი სურიდან თავლის ფერი კიურასო ჩამოღის.

მუსკატი ბზინავს და ქათქათებს.

ბროლის ქიქებში ცეცხლოკიდებული შარტრები ცისფერი ალით იწვის.

ყვითლად იწურება ანანასი, ფორთოხალი და მანდა-რინი.

თავისთავად დნება ყირიმის მსხალი—სენ-გერმენი და დიუშესი.

უხვად გაბნეულა აღანძული ატამი, დაეჯა კალვი-ლი, მუგანე, ყვითელი, წითელი და შავი მუსკატი, შაშ-ლა, ჩაშუი, ათფერი ვარდი და ყვავილი.

ადიდადა კიბო გაფარჩხულა, გამოზლილა.

მრავლად მოსჩანს ტიტეელი ბუკი, მკერდი, მკლავი, მხარი და აბლაბუდაში გახვეული წვივი.

ერთმანეთში არეულა ასფერი ფარჩა, ატლასი, ხა-ვერდი, გაზი.

თვალს იზიდავს ვენეცური, ბრიუსელური, ვალან-სიური და აღმოსავლური ნაქარგი, ნაქსოვი და ოქრო-ნენესული.

აბენტიალა, აბულუმებუდა თმა გიშრისა, წაბლისა, მიხიკა, ჩაისისა და ოქროსი.

*) აღტაცებული ვარ თქვენს ვაცნობით... თავად კვაჭანტი-რაძე... დაზარანდით, ქალბატონო... ბიჭო.. ძვირფასო ქალბატო-ნო, გთხოვთ მოიხიზოვით, აირჩიოთ...

თვალს სკრის ბრილიანტი, აღმასი, ლალი, ფი-რუხი, ზურმუხტი, ამეთვისტონი, მარგალიტი, ბალახში და ლავარი.

თამბაქოს ბოლი ლურჯი გველივით იკლავება. ყნოსვას ასიინებს თილისმურის ალერსით ნულ სა-სებელი.

ქალ-ვაენი ერთმანეთში ჩახლართულად და ერთმა-ნეთის სუნთქვით და ხორცილ დამთვარლნი და თავებრუ-ბვეულნი, შვებით და თავდავიწყებით დასკურავენ ვალსის თბილს ტალღებში.

ისმის ტრფობის ჩურჩული, ნართალის ოხუნჯობა, და აღგზნებული კისკისი.

მოსჩანს ხშირი ელვა სურვილით ანთებული თვა-ლებისა.

ავი დეღვით დღვლავს შიშველი მკერდი. სისხლისფერ ტუჩებზე და მოყვავრე კბილებზე

თრთის აღმუნი აშლილი ენებისა. ფერფმარალით შეღესილი და მწვავე სასმელ-საქ-

მლით ადისილი-ლევწილი ხორცი ენებს დაცხრობას. აბილიბღებული, ახუნხუნებულები და ადღებულები სი-

სხლი მოუთმენლად ელის და დაეინებთ მოითხოვს შენე-ლებას და ჩაქრობას.

გაჩაღებული დარბაზი ენების ალში და ბანგშია გახვეული.

ილირენდა და მძინვარებს პირისისლიანი, კბილაღე-სილი, ფაფარაყრილი და ახურებული მხეცი სიძვისა და მრუშობისა.

იწვის, დნება და ინთქმის იგი დარბაზი ვარყენი-ლების და აღვირაწყვეტილ ვნებიანობის ხანძარში.

თავადი კვაჭი კვაჭანტირაძე თვალმილულული და მიხნეული დასკურავს ბანგიან ტალღებში. ერთის წუ-თით იმისმა ტურფამ, მორჩილმა რებეკამ კვაჭის თვალწინ გაუღეღა, საყვედურის ღიმილით გაულომა და ცისფერი თვალბეით სვედა მიანათა, მაგრამ იგი ნისლოვანი მოჩვენა-ნება და წუთიერი ლანი უმალ გადნა, ვაქრა და შთა-ინთქა პარიზელი პრიმადონას ნალეგრდლიან თვალბეში, რომელნიც ნელნელა სწავადა და ცეცხლს უქიდებდა უკვე მიმქრალს კვაჭის გულს.

კვაჭიც მალე ააყვა იმ თვალბეს, მალე მოაჯდა პირ-სისხლიან მხეცს, შეუკურდა ბანგის ტალღებში და თავგამ-წევი სტენივით გადავარდა მრუშობის და ენების ხან-ძარში.

მიხიელ აღამაშვილი.

ს ა მ ე ლ ზ ი ა რ ლ კ ი მ ე ნ ი

აი, გამოჩნდა აგერ ხის ჯვარი, შავ ლოდთა გუნდი ჰინსა ჰვალობდა. ოქროსფერ თმებსა გიწუნდა ქარი. შწარე მოთქმით რო მიგასენებდა. გადაითალხა ყვავილთა წყება, ვარდმა კანკალით დახტუა თვლი, საცაა ნისლი მთლად ჩამოწყება, და გაიშლება მანტია შვიც... ბალის კარებზე მოველიოეე ია,

როცა ქვითინთ იცრემლებოდა,— მასთან ღიმილით შენც ჩაევილია,— საგაზაზხულოთ როს ირთებოდა. არ გაუკვირდა, ცრემლების ფრქვევით რომ დაოვრე იგი ჯერ თბილ საფლავზე. მან გამომიმა ფილოლების რბევით და გარს მოველო რუხ-ფერ ხის ჯვარეს!..

იმერელი ქალი

პატარა ფელეტონი

ს ს მ ს კ

„ღურჯულის“ კორპორაციაში *

მოკ. II-რე ავტობიოგრაფია

(ყველანი მაღიანათ შექცევებიან)

ჯიქია. პიტნავას აუტოქა სჯობიან, რა გვერეილია ეს შემწვარი ორაგული. მაშარაბი მოიტანეო, მაშარაბი.

კორიშელი. არა პიტნავასთან ღომი და ხარშო კარგია, სხვა ყველაფერი აქა სჯობია.

ს. ახ-ელი. რომელი ღვინო დავლიოთ, კოტე: თეთრი თუ წითელი?

ქ. მარჯ-შვილი. Для меня безразлично, წითელი სჯობიან მაინც.

დ. ჩხეიძე. ტოლიბაში იემსქნათ, კაცო.

აქ. ვასაძე. შენ, შენ.

დ. ჩხეიძე. მამის კუბო არ დამიდგეს, მე არ ვიმასქნა.

ჯიქია. საშა, კაცო, შენ ყველაზე უფროსი ხარ, შენ დაიწყე.

ს. ახ-ელი. კარგი, გაიქსეთ კიქები: იცოცხლეთ, კოტე. მე სიტყვას არ ვავადრძობ, შენ, რომელიც მოგვევლინე ჩრდილოეთიდან კენჭებთან ჩვენ, ვეფხეთა, საერთაშორისო კარნავალში, რომელმაც მარჯანის ფერის მზის გამაკოცხლებელი სხივებით ააცისკროვნე ჩვენი დრო-მოკმული, დახსენებული ძველი ქართული თეატრი, საიდანაც საფეხით განსდევნე ბუნებ-დამძვროლი მგლოტ-თაიანი დრამატურგის ნაყოფილარი ეროვნული პიესები, არას დროს არ დაგიწყევს ქართულ თეატრის მემკვიდრე და კერძოთ ჩვენ, მომავალი თაობა. შენი სახელი ისეთივე მარადიული იქნება, როგორც მარად მოედინება ჩვენში, ქიზიყში ღურჯუი, იცოცხლეთ, გაგიმარჯოსთ.

ყველანი (ტაშით) ვაშა, ვაშა, საშა!

ჯიქია. მართლა, საშა, ცხენის წყალი დიდი იქნება თუ ღურჯუი?

ს. ახ-ელი. რას ამბობ, კაცო, ღურჯუი მეტი იქნება. როცა მოდიდებულა, შენი თავის ტალა ქვები მოაქვს.

კორიშელი. აბა, რას მიპქარავდა „ქართ. სიტყვა“ ზაფხულობით შერბაო! (პაუზა).

ქ. მარჯ-შვილი. „სულიერტელნი“ სისხარი ენახე წუხელი: ვითომ შლამიან ჭაობში ეგანაობდი, გაურქცხელ სიბინძურში ვიყავი ამოთხუანული...

ვასაძე. არა უშავს არა ბატონო კოტე: „ღურჯუი“ ყოველგვარ სიბინძურსავე გავბანთ.

ქ. მარჯ-შვილი. Нет, серьезно страшный был сон. ჭობის ქვემართნი მაყრიდენ სახეში დამალ ლორწებს... (პაუზა) სისხარი კი არა, საერთოდ იმ დღეს აქეთ ფანტასტიკური მიგვიყვება ჩემი არსებობა... ჩემი ხეობრივი „მე“ დაინა ამ თქვენ საქართველოს ველურებაში, რომელიც სასევა უწმინდურობით...

აქ. ხორავა. მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე, ბატონო კოტე. იმ დღეს აქეთ ფანტასტიკური კი არა, ნამდვილ ქართულ, ეროვნულ რეალობას დაუკავშირდა თქვენი უცდავი სიცოცხლე, ნოემბრის 25 ქართული თეატრი თქვენ წყალობით დავიწინიეთ აუტკიონში.

დ. ჩხეიძე. (ჯიქიას ქიქებზე მიურახუნებს) ჩვენ უსათუოდ თქვენის წყალობით გავიმასქენით, იცოცხლეთ.

ღამაშიძე. ეს სახალხოებლები უოჩილათ გამოგვემბაურენ „მეც ნახირ-ნახირო“.

ს. ახ-ელი. ეს უთუოდ ჩვენი გამოძახილია, თუმცა უშნო და ულახოთ მიბძევა, მაგრამ მაინც ჩვენ გამართლებათ უნდა ჩიეთვალოს.

ქ. მარჯ-შვილი. როგორი შინაარსისაა მაინც მათი მანიფესტი?

კორიშელი. ისიც ჩვენ ყაიდაზე დაწერილი.

ქ. მარჯ-შვილი. არა, მაინც какого содержания?

აქ. ხორავა. სულ ცოტათი განსხვავდება ჩვენი მანიფესტიდან: მაგალითად, ჩვენსას ქვიან **მანიფესტი**, იმით კი მოუნათლათ **სიტყვათ**: ჩვენი პაროლია **ღურჯუი**, მათი ნიშანი კი **ჯეირანი**: ჩვენ ვართ „არტიტი გეიჟი“, ისინი კი „მსახიბო ტყვიის მფრქვეველი“: ჩვენ „დაეფრენთ ფავარ აყრილ რაშეკ“, მათ კი **ჯეირანი** სურთ **ღურჯუის** ნაწარლებსაქენ გასერინება... საცოდავები, ჯერაც არ იციან, რომ ჯეირანი ვერ მოეწევა რაშეკ...

ქ. მარჯ-შვილი. ჯეირანიც გეიჟი მდინარეა?

ჯიქია. არა; გაურული თხაა. (საეროო სიცილი).

ს. ახ-ელი. (სიცილით) გეტყობა, რომ მეგრული ხარ. (კოტეს ჯეირანი, ეს ომ-ფენი ცხველია, ირემს წააგავს, ბლმით არიან ჩემი სოფლის მახლობელ სოფელ ნურკიანში.

ქ. მარჯ-შვილი. Вот как!.. მე ვაზოთე მაინც რუსულათ გადამითარგმნით „ნარკონი დომის“ მანიფესტი.

ვასაძე. ჩვენი „გამოსვლა“ მაინც უმსხვერპლოთ ვათავდა, თუ მეხვევლობაში არ მივიღებთ ჩვენი საფუთე-სო ამხანაგების „ჩეკაში“ ჩაჩიქებებს. სახალხო სახლში კი **ჯეირანი** ისეთი ქეკა-ქუხლით და მუცლის გვერ-მით დაინადა, რომ ორს შიშით ვული გადაბრუნებია და „სკოროი პომოშით“ წაუყვანიათ თურმე „მიხაილესკის ბოლინიცში“.

დ. ჩხეიძე. იმე, რას ამბობ, კაცო, მაგას რავე დევიჯერებ.

ვასაძე. ჩვენი გამოსვლის დროს ბრბო ძლივს ჩაეაჩუმეთ, იქ კი საზოგადოების მყუდროება მოხლოდ ვაბაურმა დაპარეცია თავისი ღამაში ლექსით.

ს. ახ-ელი. განსხვავება სხვაე ბუერია.

სმენი. სმევი, სმევი...

ს. ახ-ელი. რა უნდა ვსთქვა, განა თქვენ კი არ იცით, იმ დღეს ტუჩებზე, დორბლმოყრილმა ზრობმ საბოლიშო ნაწრის დაუხიანა ვასო აბაშიძეს მისი სცენაზე ამოტანის დროს, სახალხო სახლში, კი გოცირივე უყენებლათ გადაარჩა.

ჯიქია. ყველანი მათ იცავენ „გორისპოლოკომს“ დაუდგენია: „სახალხო სახლის“ ახლის მიღებარე ტყეში სასტიკათ აიკრძალოს ჯეირანზე ნადირობა“.

აქ. ვასაძე. გოცირიძე, გოცირიძე! არა, ჩვენი ახალი თეატრის ოჯახი უნდა განიწმინდოს ამ ხალხიდან,

*) იხ „თ. დ. ც.“ № 5



მუშა-მსახიობი ნიკო გოცირიძე
(ინტერესთა თამაში)

დურუჯის ანკარა წყალი ვერ უიტანს მღვრიე მდინარის შემოერთებას.

პ. ქავთარაძე. (ადგილიდან) ჩვენი კამპანია სვამს თქვენ სადღევრძელოს და განსაკუთრებით კი იმ „ბებერ კამუჩებისას“, რომელთა ჯერ კიდევ გაუხეხდნელ ზაქებს აქ ბევრს ვხედავ.

დამაზაშიძე. როგორ თუ ზაქები? ჩვენი სასოგადოების „დურუჯის“ სახელთ პროტესტს ვაცხადებ.

დ. ჩხეიძე. ბატონო პეტია, მეტის მეტად, მინც და მინც ნუ მოგვიმასქნავ.

მ. შარაშიძე. მეც ველარ მოვითმინე, რომ არ მოგესალმოთ...

ს. ახ-ელი. (ჩაილაპარაკებს) ჩვენც ველარ მოვითმინეთ თქვენი „ავგაროზის“ დადგმა.

მ. შარაშიძე. გისტურებთ „ეცილეყოთი“ და „ჰამუჰამით“ თქვენი ზამთარ-ზაფხულ დაუშრობელი „დურუჯის“ თოსნობით, მარჯვნივ მარცხნივ გადახრილ ქართულ, რევოლუციონურ თეატრის აშენებას. თქვენ კი, ბატონო კოტე, თქვენ ძლიერ ყნოსავს არ ეგრძნოს სიმამლე ძველი თეატრის და სიმერალე ზურგ-მოლოტელი ძველი მსახიობების. განავგძოთ თქვენი ლამაზი საქმე—ექიმ შტოკანობა, ძირს ქალბატონი ხალტურა!

ქ. მარჯ-შვილი. მე კარტული კარგად არ ვიცი, მაგრამ, როგორც ვიცი, ისე ვთქვამ: მე მახარებს თქვენი მოსალმება და მივიწყებს იანვრის 29-ს აღრიალებულ ბრბოს. ამიერიდან მე ვეცდები დავიცვა равномерие და გავარჩიო ბრბოში ის იუმორისტები, რომელთაც გათახსირებული ლიმბო აკრავთ პირზე და ავრეთვე წვერებ-შეკრეპილი ის ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც ჰერლინდიური ნიშანი ბუბლზე ჰკონია პატენტი კულტურული ადამიანისა. ძირს დახავსებული ძველი ქართული თეატრი, გაუმარჯოს „დურუჯულ“ თეატრს. (ატყდება საერთო ჩოჩქოლი, ხმაურობა, აურ-ზაური).

ავეტია. თქვენი ჰირომეთ, ნუ დამლუპავთ, 11 საათს იქით არ მაქვს „პრავო“. გამისწორეთ „შოტი“.

ს. ახ-ელი. ავეტიქას სადღევრძელო ექსტრათა, იცოცხლე ავეტიქ!

ავეტია. გმადლობ, ვასპადინ ტავარიჩი! (გვერდზე ამხანავს) დავიღუფეთ, ჰენც ფულს არ გვაძლევენ!

ჯიქია. რამდენია სულ?

დ. ჩხეიძე. რამდენიც უნდა იყოს. არა უშავს რა, დიმიხსოვრე ხელმეძე, ხელ შემოიარე თეატრში, მიმასქნავ ანგარიშს. (ხელი-ხელ ჩაიკიდებული გავლენ).

ავეტია. (სახტად, გამტკნარებული) დაინახსოვრეო! ვაჰ, თქვენი პირის ზიარება... აი, თუ არტისტები არიან, ჰა!..

გრი.

(შემდეგი სცენა დურუჯის მიდამოებში, ზაფხულში)



ზუბედურება, დ. კლდიაშვილის პიესა აკადემიურ თეატრში



დავით კანდელაკი

სახალხო განათლების კომისარი, სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე

შხმუ ჯჷმრკჷმი

რაზინდარანი თავორედან

ინდრა *)

ღრუბლები წვიმის წვეთებთ ეშვებთან მიწაზე და-სარჩენათ...

უცნობია საიდან მოდიან ქალები მიწით დატყვე-ვებულნი რომ ხდებიან.

მცირეა მათი სამყარო და ცოტანი სცხოვრობენ ამ სამყაროში.

მიუხედავთ ამისა ყოველივე თავსდება მის ფარ-გლებში: ბედი, მწუხარება, შფოთი.

ამიტომ ახურათ ქალებს ჩადრი, ამიტომ იკეთებენ მკვლავებზე სამაჯურს. ამიტომაც მათი ეზო მესერიტა შე-მოვლებული.

თეთიფული მათგანი ინდრაა საკუთარ ვიწრო ედვ-მის.

ოჰ, ეს მეზობლის ქალი.

დაბადებითვე ცელქი და მოუსვენარი. დედა გაჯავ-რებით „უფარვისა“-ს რომ ეძახის და მამა დიცივით „მადკურ“-ს უწოდებს, რომელი ღმერთის მხიარულ ღი-მოს მომავონებს?

ჩანჩქერის ზვირთებს წააგავს იგი. მისი მკერდი მუ-დამ ორთის როგორც ფოთოლი ღერწამის წვერზე.

დღეს იგი ევრანდის მოაჯირზე დაყრდნობილი, ცისარტყელს წააგავდა. ჩვეულებრივ არ ჰკრთოდა დღეს მის ღიდრონ შვე თვალბუმში მხიარულება. იგი უფრო მღორებულულ ამინდში ხის ტოტზე მჯდომ ფრთებ და-სველებულ ჩიტს წააგავდა.

*) ინდრა—ცისა და ატმოსფერის ღმერთია ინდიურ ძველ რე-ლიგიაში.

აუტანელი სიციხე იყო რამოდენიმე დღე. გაფერ-მკრთალდა ცა და ფოთლები უიმედოთ ჩამოხმენ.

უეცრივ გაშალა ცალთა კილით კიდეზე შავმა ღრუბლებმა. უკანასკნელმა ჩამავალმა სხივმა ისე გაიელვა როგორც ქარქაშიდან ამოწევილმა ხმალმა.

შუალამისას თრთოდა სახისი ფანჯარები, კარები... ქა-რიშხალმა შეაშფოთა მძინარე ქალაქი.

ქუჩაში, წვიმის ხშირ წინწკლებში ფარანი ანათებდა მსგავსად ლოთის ამღვრეულ გამომეტყველებისა.

ზარის ხმა ისე იმობდა, თითქოს წვიმის წვეთებში იყო გახვეული.

დილით გაძლიერდა წვიმა.

სწორედ ამ ცულ ამინდში იღვა მოაჯირზე დაყრდნო-ბილი ჩემი მეზობლის პატარა ქალი.

როდესაც და მივიდა მასთან და უთხრა: „დედა გე-ძახის“, მხოლოდ თავი გააქნია ისე, რომ თმები აეშალა.

მივიდა ძმა. ქალაღის გემი ეჭირა ხელში. სათამა-შოდ იწვევდა, არ ეშვებოდა.

განრისხდა ქალი, ძმას სილა ვააოტყა.

წვიმდა. იკუპრებოდა.

ქალი იღვა გარინდებული.

საუყურეთა განთიადზე, შექმნის დასაწყისს, პირვე-ლი სიტყვა უთუოდ მდინარისა და ქარის ენით აღმოხდა და დღესაც რამოდენიმე ათასჯერ მილიონ წლების შემდეგ ამ სიტყვამ, რომელიც არ ემორჩილება დროს დავიწყე-ბას, წვიმის წყნარი ხმით გამოცხადებრა მის სმენას და მოუწროდა.

ისიც დაემორჩილა ამ ძახილს, შთაინთქა უსაზღ-ვრობე ში.

რა დიღია დრო.

რა დიღია ქვეყანა

რამოდენმა საუთუნემ ვანვლო, და რამოდენ გვარად თამაშობდა სიცოცხლე დღემამწაზე.

მთელი სამყარო, მთელი დიდება იცქირებოდა იმ დღეს ამ პატარა, თვით ნუნა ქალის სახეში ღრუბლების ჩრდილით და წვიმის წყნარი შრიალით.

ამიტომ იღვა იგი უძრავად დიდრონ გაშლილ შავი თვალბუმით—როგორც სახე უკვდავებისა.

მის. ბოჷორიშვილი

მ რ ი ს კ ს ლ ი

ჩემი სურვილი ქარმა დაფანტა, ლამე ქალაქში სისესაც! ბაცილებს მეთამაშება როგორც ინფანტა და ოთახისკენ ვილაც მააცილებს.

მთვარის ღიმილი ვარცკვლავებს ათოვს და მღმელმანა ზეცის სიშორე...

მისი ღალატე სიზმარშიც მახსოვს, რა ეწნა, გულიდან ვერ მოვიშორე.

ამ ჩვეულებას უკვდავად ვიცავ... ჩემს შორის თუქცა დაქმნა ვარდა.

იმის ორ სახელს მაინც ვიფიცავ, სხვა არავის მსურს მე იმის გარდა!

შალვა ონტოფელი

მ წ ე რ ა ლ ი ქ ა ლ ი

ერისთავი-ხოშარია, ანახატისა გიორგის ასული—

მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე, მუშელ დუტუ მებრელისა, დაიბ. 1868 წ. 3/11 ქ. გორს. მამა მისი იყო ქართლის თავადშვილითაგანი, რუსეთმუნდ ცნობილი, დედა — ელისაბედ. ზ. ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული. აკენიდანვე აღსარდელთა აიყვანეს მისი ღვთისმშობლებში, რომელთაც კარგად იცოდენ ძველი მწერლობა-ისტორია და ბავშვზე დიდი აღზრდლობითი გავლენა იქონიეს. დასარდულა გორის პროვინციის 4 კლ. (აქ ქართულ ენას ასწავლიდენ ჯერ. ცნობ. მ. ქ. ყიფიანი, შემდეგ—ს. ლომოური). ცხოვრობდა ს. ფეცაში, ქართლს. თითგანვითარებასთან ერთად მწერლობდა, ამავე დროს სოფლის ბავშვებს ასწავლიდა. 1897 წ. მუშელთა შვირთი დუტუ მებრელი ამის გამოერთანს ცხოვრობდა სამშობლოს გარეუბან—ოლიისს, ნახიჩევანს, ტრეგენში და ყაზახს. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1885 წ. საყმაწვი. ჟურ. „ნობათ“-ში (დაბეჭდა მოთხრობა „ბეხსა“), შემდეგ „კვ“. მოთხრ. „ბატონებმა არ დაიწყენსა“. მწერლობის პირველ ნაბიჯიდანვე მფარველ-წამქეზებლად მოეწვინა აკაკი. ამის შემდეგ განსაუფრებებით მწერლობას მოჰქიდა ხელი და მალე დიდი რომანი „მოლოძღვე გზაზე“ გამოაქვეყნა („მოამ“. 1896-97 წ., ცალკე გამოცემა სამეგრ., პესად გადააკეთა ე. გარბიქმა,—ათეატრი და ცხოვ“. 1916 წ. № 15—17, 20—21). ზემოთხსენებულ ნაწარმოებთა გარდა დასწერა: „ლაზარემ გადააქაბა“ („კვ“. 1893 წ.) „მეტი ღონე არ არის“ (იქვე, 1896 წ.), „ეკრა“, („მოამ“ 1901 წ.), „ჰამისია“ („იგ.“), „ბედის ტრიალი“, „მდღებობ“ (ჩე. კვ.“ 1908 წ.), „დარისპან თარაშვილი“ („ივასკ.“ 1909 წ.), „სიკვიდილის არდილი“ („სახ. ვახ.“ 1914 წ.), „ეკლესიის ვარშემო—მამა იოსებო“ („ქართ.“ 1919 წ.), „შიწ.“ „შიწ“. მ. 19 უ წ.) სწერდა სამაწვილო მოთხრობებსაც („ჯეჯ.“ და „ნაკ.“). გამოცემულია 3 ტ. მ-ს შემოქმედება განიხილეს: ა) მე ვახლავარმა-მ. ნასიტემ (იგ.“ 1897 წ.), ბ) ივ. გომართელმა („ალ.“ 1918 წ.), ე) ალ. ხახანაშვილმა (ქარ. სიტ. ისტ. ქართ.-რუს. გამოცემაში), დ) აღონისმა („ლომ.“

1922 წ. № 16), ე) ე. გარბიქმა („ტრიბ.“ 1923 წ.), ვ) შ. აუხაიძემ („ბახტ.“ 1923 წ.) და სხ.

მ-ს თავის რომანებსა და მოთხრობებში ქართველთა ყოფა-ცხოვრებას გეისურათებს. შექმნა ქართველი ქალის ძლიერი ხატება, დიდის სიძლიერით დახასიათა ქალის ნედლობევი გარბობა, რომელსაც მანამდე არკ ერთი ქართველი მწერალი ქალი არ შეხებია, ასე ნიჭიერად პირველმა დახასიათა სამუდგელობა სრულის აინახათა. ნაწერები მისი მრავალფერ-სურათანია. აღმინათა საერთო ბედნიერების დასაწყარებლად აუცილებელ პირობად მიანინია ქინებრივ-წოდელე უთანაწარობის მოსპობა და საერთო სიყვარულის განმტკიცება. მისი ღრმა რწმენით, სიყვარულმა მდიდარ-ღარიბი არ იცის, სიყვარული თავისუფალი გრძობაა და წინ ვერავრთი გადადებულა. გლეხთა ცხოვრებიდან ამოღებულ მოთხრობებში გვიჩვენებს გლეხთა ქონებრივ დასწოდებას,—ერთის მხრივ შეძლებული, მდიდარი გლეხი, რომელსაც თავისივე მოძმე ღარიბი გლეხი თავის შესადარისად არ მიანინია, მეორეს მხრივ ღარიბი, რომელთაც დაუხარული შრომა საუღლებულად მიანინია და ამ შრომაში ჰპოებენ სიამეს. ნიჭიერად დასურათა თანდათან როგორ ირღვევა გლეხის კარჩაკეტილი ცხოვრება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ცოლ-ქმრომის შესახებ, როგორ იმარჯვებს თავისუფალი სიყვარულის გრძობა, რომელც ერთადერთი საუფქველი ცოლ-ქმრომის ბედნიერი კვირის შესაქმნელად. მწერლობის გარდა, საქმიოთაც ერეოდა საზოგადო საქმეებში. გორში შეადგინა ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მოაწყო უფესო საანანო სკოლა, საკვირაო სკოლა, სასადილო, თავშესაფარი, პატარა კოპორატები და საჩივი. მ-ს ახრით, ქართველ ქალთა შეკავშირება, გათავითნობიერება და შეგნებული შერთობით თვითმოქმედება გამოვიყვეს ირ დუტუ მებრელი მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ეიმყოფებოთ, და ყველა დაინახავს, რომ ქართველი ქალი არ მომკვდება.

(იოსებ იმედაშვილი,—ქართველი მოღვაწეთა ლექსიკონი—დან.)

„ახალი კლუბი“

ომში დაპროტოა შრომის ატკლმა აღდგინა

